14/09/02-01

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი

02 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით და **მეორეს მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“** შემდგომში - „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი დირექტორის **ზაზა ქათამაძის** სახით, ორივე ერთად მოხსენიებული როგორც „მხარეები“ ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონსოლიდერებული ტენდერის № 2014 ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანხმად და „შემსყიდველის“ მიერ წარმოდგენილი დანართი #2ა-ს შესაბამისად, „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ კუთვნილ ავტომანქანებზე “აგაი” სისტემის მოწყობილობის დამონტაჟებას ***2014 წლის 03 სექტემბერს 11:30 საათზე შემდეგ მისამართზე, ქ.თბილისი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე „ლუკოილი“-ს ავტოგასამართ სადგურზე (ელიავას ბაზრობასა და რესტორან იმერეთს შორის).***
2. „აგაი“ სისტემის ჩაირთვა განხორციელდება 2014 წლის 01 ნოემბრამდე, რის შესახებაც „შემსყიდველს“ დამატებით ეცნობება საკონტაქტო ელ.ფოსტაზე.
3. „შემსყიდველი“ ვალდებულია „აგაი“ სისტემის ჩართვისთანავე გადაამოწმოს მის სარგებლობაში არსებული ყველა ავტომანქანის მიმართ დაწესებული ლიმიტის შესაბამისობა.
4. „შემსყიდველი“-სათვის ამჟამად მოქმედი საბარათე სისტემისა და „აგაი“ სისტემის პარალელურ რეჟიმში ფუნქციონირების თავიდან აცილების მიზნით, „შემსყიდველი“ ვალდებულია „აგაი“ სისტემის ჩართვის შესახებ დამატებით შეტყობინებაში მითითებულ ვადებში და პირობებით უზრუნველყოს მის სარგებლობაში არსებული ბარათების დაბლოკვა და მათი შემდგომში გამოუყენებლობა. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა შესაძლო შედეგსა და წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი“.
5. „აგაი“ სისტემის ჩართვიდან ორი კვირის განმავლობაში „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებლის“ სათაო ოფისში - ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, წარმოადგინოს მის ხელთ არსებული პლასტიკური ბარათები ორგანიზაციის სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.
6. შემსყიდველი ვალდებულია გაეცნოს, მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.lukoil.ge (ფანჯარა - კონსოლიდირებული 2014) განთავსებულ “აგაი” სისტემის მართვის ინსტრუქციას (ინსტრუქცია ვებ-გვერდზე განთავსდება 2014 წლის 1 ოქტომბრამდე), იმოქმედოს მის შესაბამისად და სრულად უზრუნველყოს ინსტრუქციით გათვალისწინებული „შემსყიდველი“-ს ვალდებულებების განხორციელება.
7. „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას გაუფრთხილდეს მის კუთვნილ ავტომანქანებზე დამონტაჟებულ მოწყობილობას და უზრუნველყოს მისი მთლიანობის

შენარჩუნება. მექანიკური ზემოქმედების შედეგად მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, განმეორებით ახალი მოწყობილობის მონტაჟის ღირებულება შეადგენს 30 ლარს.

8. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2013 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული №2014 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სს „ესკო“ ს.კ 205170036	შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ს.კ 204976302
გენერალური დირექტორი	დირექტორი
----------	----------
ვ. ამბროკაძე	ზ. ქათამაძე